

მარნეულში ნაგავსაყრედზე გადაყრილი კვერცხებიდან წიწიღები გამოიჩეკა (ვიდეო)



მარნეულში, ნაგავსაყრედზე გადაყრილი კვერცხებიდან, რომელიც მეფრინველეობის ფაბრიკაში გაფუჭებული ეგონათ, წიწიღები გამოიჩეკა.

როგორც “ნეტგაზეთს” მარნეულის მერმა, თემურ აბაზოვმა განუცხადა, წიწიღები მარნეულის მოსახლეობამ სახლებში წაიყვანა.

“მე როგორც ვიცი, კვერცხები ეგონათ გაფუჭებული და გადაყარეს ისეთ ადგილას, სადაც ქვიანი ადგილია და სურ სითბოა. ისე შენარჩუნდა ის კვერცხები, თითქოს ქათამთან ყოფილიყო და შესაბამისად, ბევრი წიწიღა გამოიჩეკა. ბევრმა წაიყვანა წიწიღები სახლში” – უთხრა “ნეტგაზეთს” აბაზოვმა.